



თორნიკე აურამიძე

დავით აღმაშენებლის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი

მერაბ კვციანი

ქვემოქმედი იოანე ქიქოძის სახელობის

3

მირონ ებანიძე

დუქნის წყარო

4

როზა დივდარიანი

„ჩემი არსს სასჯელი და მე მივარა...“

5

ჩვეულებრივი და არა— ჩვეულებრივი

ნუკრი ჟორჯიანი

6

ყაყაყა ფიქსიონალი

საყდარი

რუსთაველის სახელობის

7

მირონე ქაჯაია

მედიკალი

7

ონისა ბნძილაძე

„მიწა“ „საგონი“ „მხიჯისფერი“

კონკურსი ბრძანდება

8

თანამედროვე სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიებში მსოფლიოში არსებულ ენათა რაოდენობა მერყეობს 4 000-დან 7 000-მდე, ასეთ სხვაობას ქმნის სამეცნიერო ერთობა ერთად თუ დიალექტად მიჩნევის სირთულე და კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობა.

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ენისა და დიალექტის გამოყენების პრობლემა მხოლოდ ლინგვისტიკის სფეროში ვერ მოთავსდება; კულტურული ტრადიციის მქონე არცერთი ენა საკუთრივ ლინგვისტური ნიშნებით არ არის სახელდებული ენად: ვერ არავის დაუდგენია ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა ის ზღვარი, რომლის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისობრივი-სისტემის ვარიანტი გადადის ახალ სისტემაში. დღეს სხვადასხვა ენად სახელდებულ სისტემებს შორის არსებულ ლინგვისტურ სხვაობათა პროცენტული მაჩვენებელი, ფაქტურად, შეუზღუდავად მერყეობს. როგორც წესი, მონათესავე ენობრივი ერთეულების ერთი ენის ვარიანტებად თუ სხვადასხვა ენებად ჩათვლა უშუალოდ უკავშირდება მოცემული საზოგადოების (საზოგადოებების) მიჩნევის ერთი ისტორიული კულტურის მქონე ეთნოსად (ერად თუ ნაციად). არაიშვიათად, ენის სტატუსი განისაზღვრება რელიგიური ან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მიდგომის მიხედვითაც, ეს უკანასკნელი კი

„ერთისა ენისა მძინებელი“

მკიდრო კავშირშია სახელმწიფოთა შორის საზღვრების პრობლემასთან და ქვეყნების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ-ორიენტაციებთან; კერძოდ, ეთნიკურ-პოლიტიკური კონფლიქტები ზოგჯერ „ენობრივი კონფლიქტებიდან“ იწყება; არაიშვიათად, აგრესორი ქვეყნების მესვეურნი თვითმიზნურ ენობრივ პოლიტიკას იდეოლოგიურ იარაღად იყენებენ: დასაპყრობი ტერიტორიის მცხოვრებთა ერთიანი ეროვნული ცნობიერების დასამლენად დიალექტებს აცხადებენ ენებად, შემდეგ კი მათ უქმნიან ისტორიულისაგან განსხვავებულ ანბანს და უბიძგებენ კულტურულ სახელმწიფოებრივი გამოყენებისკენ (მაგ., იხ. რუსეთის პოლიტიკის შედეგები აფხაზეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში, დაღესტანში... თ. გვანცალაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, 2001); ასევე, არაიშვიათად, ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად გაჩენილი მსგავსებების გამო არამონათესავე ლინგვისტური ერთეულიც კი კვალიფიცირდება მოცემული ენის დიალექტად; მაგ., მე-17 საუკუნემდე არსებული ძველი პრუსიული ენის — ლიტუარის მონათესავე ბალტიკური ენის — „მემკვიდრე“ ახალი პრუსიული მეტყველება რამდენიმე გერმანულ (ბრანდენბურგულ) დიალექტად განიხილება, შდრ., ასევე, ვ. ფირმუნსკის პოზიცია სლავთა ტერიტორიაზე — „საქსონის მიწაზე“ — ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული გერმანული

დიალექტების შესახებ (ვ. ფირმუნსკი, 1956, გვ. 24).

ამდენად, ენისა და დიალექტის გამოყენების პრობლემის არაარსებითად მიჩნევა, ან მეცნიერთაგან ამ პრობლემების შენიღბვა-მიჩუმაობა და პოლიტიკოსთათვის გადაბრუნება, კაცობრიობის პატიოსანი და მშვიდი ნაწილისათვის ზიანის მტრს არაფერს მოიტანს. გარკვევით უნდა ითქვას, რომ, ერთი შეხედვით, ენისა და დიალექტის მიმართების თითქოსდა უწყინარ პრობლემასთან დაკავშირებულია არამხოლოდ კონკრეტული ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა, არამედ, საერთოდ, დიდი პოლიტიკაც.

ჩვენი აზრით, ენისა და დიალექტის მიმართების პრობლემა სინქრონულადაა განსახილველი საზოგადოებრივ-ისტორიული, ეთნიკურ-კულტურული, რელიგიური და საკუთრივ ლინგვისტური ასპექტებით; ასევე საჭიროა მეცნიერთა კვლევის შედეგების განსახილველობა ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება მოცემული საზოგადოების მოწვევით თავის კულტურულ წარსულთან: ხალხს ექნება გაცნობიერებული არჩევანი თვითიდენტიფიკაციისათვის და, რაც მთავარია, დაცული იქნება ადამიანის თუ ეთნოსის უფლება იცოდეს თავისი წარსული.

ბიბლიურ თუ სხვა ძველ ისტორიებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ენა და ეთნოსი

(ხალხი, ტომი, ერი) ერთმანეთს განსაზღვრავს; ერთი ერის შვილებს ერთი ენა აქვთ, სწორედ ამიტომ, რომ მაგ., ძველი მემკვიდრეები და ჩვენი დიდი მოღვაწენი (გრიგოლ ხანძთელი, ლეონტი მროველი, ვახუშტი, სულხან-საბა, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია...) არასოდეს საუბრობენ ქართველთა რამდენიმე ენის არსებობაზე; მეტიც, ჩვენი მწიგნობარი წინაპრები ხაზგასმით წერენ, რომ ქართველთა ისტორიული კულტურის ტრადიციული ენა — დედა ენა — სამწიგნობრო ქართული, ხოლო ოდიშური (მეგრული), მესხური, კახური, სვანური და ქართველთა სხვა მეტყველებანი კუთხურ-სოფლური კილოებია. ჩვენს წინაპართა მიერ თავიანთ ენის სტატუსის განსაზღვრისა და ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ახვეჭებით განსაკუთრებით სიანტიერესია „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელსაც 1790 წელს ზელი მთაწერე ქართლ-კახეთის სამეგრელოს, იმერეთის და გურიის მეფე-მთავრებმა; ტრაქტატში ხაზგასმით აღვნიშნება:

„ვინაიდან ვოცელთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოთა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერეთის, ოდიშისა და გურიისათა აქვთ ერთ მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკისა“

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

„ერთისა ენისა მძინებელი“

(დასაწყისი პირველი კვირული)

ლიც კვლავისაგან შობილი და ერთისა ენისა მძინებელი, აქვს თავისი ხიზნული კითხვა და ხიზნული ნათესავი და მოყვარობით შეკრულა ურთიერთობა შორის.

ამისთვის ჩვენ შემოხსენებულად ქვეყანათა ივერიისა და მეფენი და მთავარნი დამატებითი ხაუკუნობა ამის პირობისა სახელით ყოველად ძლიერისა ღვთისათა აღვსოვით მტკიცესა ამახ ერთობისა, რომელიცა თვითთულად შემდგომთა შინა ქაზრთა ცხად იქმნება...

ახვევ საფეხლოდაა ცნობილი (იხ. მაგ., პ. პაულის, პ. პირტის, ვ. ფირმუნის, ვ. შარბატოვის, ნ. იუშმანოვის, ვ. ა. ფუკოვის და სხვათა გამოკვლევები), რომ გავდებინებ არარსებობის თუ საკუთრივ ლინგვისტურ მახასიათებლებში დიდი განსხვავების მიუხედავად არაბთა, გერმანელთა, სპარსელთა, ჩინელთა, ესპანელთა, იტალიელთა, ფრანგთა, იაპონელთა და მრავალ სხვა ხალხთა „საშინაო მეტყველებანი“ საერთოებრივი ენის დიალექტებად ითვლება; საინტერესოა მოვიყვანო ნ. ი. კონრადის დასკვნა: „იაპონიისა და ჩინეთში არა მხოლოდ სოფელში, არამედ ქალაქშიც მოსახლეობის ნაწილი საერთოდ ვერ ფლობს საერთო სალიტერატურო ენას და ზეპირი ურთიერთობების დროს იყენებს თავის დიალექტს...“ (ნ. ი. კონრადი, 1960).

წარმოდგენილი ზოგადი მიმოხილვის ფონზე საინტერესოა ის კრიტიკიკები, რომლებიც არსებობს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენს ხელთ არსებულ განმარტებებს პირობითად დაგვაგუფებთ ავტორთა მიერ შემუშავებული კრიტიკიკების მსგავსების მიხედვით (აქვე, მაღლობს მოვახსენებთ მარბურგის უნივერსიტეტის გერმანული ენის კვლევის ინსტიტუტის დირექტორს პროფ. დოქტ. გურგენ ერიხ შმიდტსა და მის ასისტენტს დოქტ. სტეფან რაბანუსს, რომელთაც ჩემთვის ხელმისაწვდომი გახადეს არა მხოლოდ თავიანთი შეხედულებები, არამედ ზოგ სხვა მკვლევართა მოსაზრებანიც); კრიტიკიკები დადგენილია მონათესავე ენობრივი ერთეულებისთვის:

ენა - განფენის ხარისხის მრავალფეროვნება (პრესტიჟულობა) - გამოყენების მაღალი ხარისხი, კოდიფიცირებული დამწერლობა, სტანდარტულობა, სამწერლობო სტატუსი, გარკვეულწილად ხელოვნურობა...

დიალექტი - გამოყენების დაბალი ხარისხი, არასტანდარტულობა, ზეპირი კომუნიკაციის საშუალება, ბუნებრიობა... (გ. ე. შმიდტი, უ. ამონი, ა. ბაზი, თ. ლევანდოვიჩი, პ. ვიზინგერი, ბ. სოეინსკი, ა. ლინკე...).

ენა - ძირითადი სისტემა, დიალექტიკა არის სისტემის (ერთი ენის) ნაირსახეობა, ვარიანტი; დიალექტების მფლობელთა შორის გაკვირვება უნდა იყოს (პ. ფრანკ, ბ. ჯორბენაძე, ვ. ნევიერიძე...); დიალექტებს შორის გაკვირვება არაარსებითია (ვ. ფირმუნსკი, ვ. ცოსერიუ, ი. ტლოუბეტი, ჯ. ბერენი და მრავალი სხვა...).

ვ. ნიქოანისა (1993) და მ. ქურდიანის (1996) აზრით, მონათესავე ენობრივ ერთეულებს შორის თუკი არის ბევრათმესტაყვისობა, მაშასადამე, ისინი ენებად უნდა კვალიფიცირდეს.

ვ. სელმანის, ვ. კრივის და სხვათა აზრით, დიალექტსა და ენას შორის ზღვარი რელი განსაზღვრება; დიალექტიდან ენაში გადასვლა თავისთავად ხდება...

მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ერთი ენის ერთეულის სტატუსი მისმა მფლობელმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს (პ. პირტი, პ. პაული, ვ. ფირმუნსკი, ვ. ცოსერიუ, ი. ტლოუბეტი, ჯ. ბერენი და სხვა...).

დროს (პ. პირტი, პ. პაული...).

პრესტიჟულობა, სტანდარტულობის მიხედვით შეიძლება სამწიგნობრო ენისა და დიალექტის დახასიათება, მაგრამ, ჩვენი აზრით, შეუძლებელია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამოჯენა.

ენობრივი სისტემის ვარიანტულობის მიხედვით მსჯელობაც მეტად პირობითია, ვინაიდან, მაგალითად, ფონემატური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურების მიხედვით რუსული, ბელორუსული, უკრაინული პოლონური ენები ერთმანეთთან მიმართებით უფრო ახლომდგომი ვარიანტები არიან, ვიდრე, მაგალითად, გერმანული ენის დიალექტები, აქვე აღვნიშნავთ, რომ ხელოვნური და პრობლემის კვლევისათვის თითქმის არაფრის მომცემია მცდელობა, რომლის მიხედვით ენობრივი ერთეულები ენებად თუ დიალექტებად განსხვავებულად კვალიფიცირდება, ერთი მხრივ სიცოლინგვისტური, მეორე მხრივ, კი, „საკუთრივ“ ლინგვისტური კრიტერიუმების მიხედვით (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართველურ სინამდვილეში პირველი ამგვარი მცდელობა ჰქონდა ნიკო მარს). თუ მკვლევარის მიზანია არსებული ენობრივი ერთეულის კვლევა - ენის (დიალექტის) შესწავლა საკუთრივ ლინგვისტური, სოცილინგვისტური, ფსიქოლოგიური თუ ფილოსოფიური ასპექტით და არა მისი სტატუსის ხელოვნური კორექტირება, შესაბამისად, მან ჯერ უნდა შეისწავლოს უკვე არსებული (საყოველთაოდ მიღებული) ენებისა და დიალექტების სახელების პრინციპები და შემდეგ, მიღებული დასკვნებიდან გამომდინარე, უნდა იმსჯელოს საკამათო სტატუსის მქონე ენობრივი ერთეულების კვალიფიკაციის შესახებ; მეცნიერთა მიზანი არ უნდა იყოს საუკუნეების მანძილზე არსებული ტრადიციული კვალიფიკაციების თვითმიზნური გადასინჯვა, მაგ., რუსული რამდენიმე საუკუნეა დამოუკიდებელ ენადაა მიჩნეული და რისი მომტანია მისი დიალექტად ჩათვლა? ანდა, მეგრული (ოდიშური) მეტყველება საუკუნეების მანძილზე ქართველთა ერთ დიალექტად ითვლებოდა (ქართველთა სხვა კილოების მსგავსად) და რას მოემსახურება მისი სტატუსის შეცვლა? მით უმეტეს, სვანურის, მეგრულისა და ლაზურისთვის ახალი დამწერლობების შექმნა, ამ ქართველთა გაუცხოებას ქართულ-ქართველური მწიგნობრობის სახით არსებულ საკუთარ დიდ კულტურულ წარსულს, თუნდაც იმ თექვსმეტ-საუკუნოვან წარსულს, რომელიც იოვანე ლაზისა და პეტრე იბერიის მოღვაწეობით რომ იწყებს თავისი განვითარების ახალ ეტაპს...

ბევრათმესტაყვისობის არსებობა-არარსებობის მიხედვით მსოფლიოში არსებული არცერთი ენა თუ დიალექტი არ არის კვალიფიცირებული; გარდა ამისა, მრავალ მონათესავე ენას შორის ბევრათმესტაყვისობა არ გვაქვს და პირიქით: კანონზომიერი და რეგულარული ბევრათმესტაყვისობები გვაქვს დიალექტებად მიჩნეულ ენობრივ ერთეულებს შორის (გერმანულში, ჩინურში, იაპონურში...), მეტიც, ბევრათმესტაყვისობები დადასტურებულია თქმებსა და იდიოლექტებშიც კი...

ენისა და დიალექტის სტატუსის განსაზღვრა თავად მოცემული ენობრივი კოდექსის მიერ ადექვატურ შედეგებს მოგვცემს ახალშექმნილი მწიგნობრობის მქონე ან წერილობითი კულტურის არმქონე ენობრივი ერთეულის შემთხვევაში: წერილობითი კულტურის არმქონე ხალხის თვითაქმა ხდება გაკვირვების მიხედვით განსაზღვრული უმწერლობო ენის ფარგლებში (შდრ., ჩრდი-

ლოკაკასიური ენები). ამ გზას გადაულახავი პრობლემები შეექმნება ხანგრძლივი წერილობითი კულტურის მქონე საზოგადოების გამოკითხვისას, რადგანაც, საზოგადოების განათლებული ფენისთვის თუ გასაგები და მშობლიური იქნება არქაული ენა და კულტურა, საზოგადოების გაუნათლებელი ფენისთვის ის უცხო აღმოჩნდება; მაგ., სალიტერატურო იაპონურის ან სინჰალურის არმცოდნე გლეხისთვის თავისი მშობლიური დიალექტი აღიქმება დედა ენად და იგი მისდაუნებურად ემიჯნება საკუთარ უძველეს კულტურას; შდრ., აგრეთვე: მეოცე საუკუნემდე აფხაზთა განათლებულმა ნაწილმა იცოდა, რომ სხვა ქართველთა დარად დიდი ქართველური კულტურის მემკვიდრე იყო, მაგრამ რუსეთის იმპერიის მესვეურთა აქტიური მეცადინეობისა და, ბოლოს, აფხაზეთის ინტელიგენციის გაყვლების შემდეგ, ამ კუთხის დღევანდელი მოსახლეობის დიდი ნაწილი კარგავს რა ბუნებრივ ისტორიულ ორიენტირს, უარს ამბობს დიდ ზოგადქართველურ წარსულზე... ასე რომ, განათლების სიმწირის შემთხვევაში გარკვეულ ფენებს შეიძლება ერთმანეთში აერიოს მშობლიური დიალექტი და დედაენა - წინაპართა შექმნილი სამწიგნობრო ენა. ჩვენი აზრით, ენისა და დიალექტის გამოჯენა არც ამ ე.წ. პლემბისციტური მეთოდითაა შესაძლებელი და სერიოზულად არც არავინ ცდილობს ამ კრიტერიუმის გამოყენებას.

დედამიწაზე არსებული ენობრივი ერთეულები სპეციალისტების მიერ ენებად და დიალექტებად კვალიფიცირებული არ არის არც გაკვირვების კრიტერიუმის მიხედვით (გაკვირვება ზმირად კილოებსა და კილოკავებს შორისაც კი არა გვაქვს), თუმცა ამ ფაქტორს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება წერილობითი კულტურის არმქონე ენობრივი ერთეულების განსაზღვრისას: თუ მოცემულ საზოგადოებას არ გააჩნია თავისი წინაპრებისგან შექმნილი მწიგნობრობა (ანბანი და წერილობითი კულტურის ტრადიცია), ასეთ შემთხვევაში, რეალურად არ არსებობს მონათესავე საზოგადოებებთან თუ ენობრივ ერთეულებთან საერთო კულტურული სისტემა, რომელიც გამაიგივებელ (მაიდეტიფიცირებელ) ათვლის სისტემად მოგვევლინება. ამგვარად, ენისა და დიალექტის გამოჯენის მცდელობისას, პირველ რიგში ერთმანეთთან მიმართებით უნდა განვსაზღვროთ უმწერლობო ენა და დიალექტი.

ჩვენი აზრით, დიალექტი უნდა განიმარტოს როგორც მოცემული ხალხის (ერის, ნაციის) საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს. სხვა სიტყვებით: კონკრეტული სამეტყველო ერთეული მონათესავე სტრუქტურის მქონე სალიტერატურო ენის დიალექტად ჩაითვლება, თუკი მოცემული სამეტყველო კოდის მფლობელ ხალხს ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს ამ სამწიგნობრო ენის შექმნაში.

შესაბამისად, უმწერლობო ენად უნდა მივიჩნიოთ იმ საზოგადოების მეტყველება, რომლის მფლობელ ხალხს ისტორიულად მონაწილეობა მიღებული არა აქვს საერთოსახალხო სამწიგნობრო ენის (წერილობითი კულტურის) შექმნაში და შემოქმედების თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ ენასა და დამწერლობას.

მსოფლიოს ხალხებისა და ენა-კილოების მიმართებებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ენობრივი ვარიანტების იერარქია თავისთავად რეგულირდება სამწიგნობრო ენის ის-

ტორიასთან მიმართებით; კერძოდ, აქტუალური სქემა: ერი - მისი სამწიგნობრო ენა - ამ ერის ცალკეულ თემთა (ტერიტორიულ თუ სოციალურ ჯგუფთა) საშინაო მეტყველებანი.

მსჯელობას ქართველური სინამდვილის მიხედვით გავაგრძელებთ:

მსოფლიოში ცნობილი ბევრი მეცნიერის მიერ ქართველური ენა-კილოები კავკასიური და წინა აზიის თუ ევროპის ძველი ენების (შუმერული, ხეთური, ურარტული..., აგრეთვე, ეტრუსკული, პელაზგური, ბასკური...) მონათესავედ განიხილება. ჩვენი აზრით, იბერიულ-კავკასიური საერთო კონტინუუმის არსებობის პერიოდი ქრონოლოგიურად შეიძლება დაუკავშირდეს მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურის არსებობის პერიოდს, ვინაიდან, ვფიქრობთ, რომ იბერიულ-კავკასიურისაგან მომდინარე საერთოქართველური ენის არსებობის დრო და გავრცელების არეალი თანხვედრა დიდ კოლხურ ცივილიზაციას (დაწვრილებით იხ., ტ. ფუტკარაძე, 2002). საერთოქართველურ ენას უშუალოდ აგრძელებს ქართველთა სამწიგნობრო ენა, რომელიც უწყვეტად არსებობს ბოლო 16 საუკუნის განმავლობაში, მისი ფონემატური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურები საერთოქართველური თეორიული მოდელის სტრუქტურული ადექვატია. ცნობილია, რომ ქართველი სამწიგნობრო ენის შექმნაში თავიდანვე ყველა ქართველური მოდგმა იღებდა მონაწილეობას (მაგ., პირველი ქართული წარწერები იოვანე ლაზისა და პეტრე იბერიის სახელთან დაკავშირებული იერუსალიმის მონასტერში დასტურდება!) ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა არნ. ჩიქობავას დასკვნა: ქართული სამწიგნობრო ენა შეიქმნა ზანური და სვანური დიალექტების მონაწილეობით (არნ. ჩიქობავა, 1948); შესაბამისად, საერთოქართველურიდან ზანურ-სვანური წრის (ე.წ. შიშინა ტიპის) დიალექტების ჩამოყალიბების დასაწყისად ვვარაუდობთ ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასასრულს (დაწვრილებით იხ., ტ. ფუტკარაძე, 2000); აქვე აღვნიშნავთ, რომ თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, ქართული და ზანური დიალექტური ვარიანტები ერთმანეთს ემიჯნება წელთაღრიცხვთა მიჯნაზე (თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი 1965, გვ. 14).

საუკუნეების მანძილზე ქართველობა არა მხოლოდ ქმნიდა სამწიგნობრო ენას, არამედ მისი თაობები იწრთობოდა კიდევ ამ სამწიგნობრო ენის კულტურულ ველში, შესაბამისად, ქართველთა კულტურულ-ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ცნობიერებას საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა ერთიანი და ტრადიციული წერილობითი კულტურა (როგორც მაგალითად, არაბთა, ჩინელთა და სხვა ძველ ხალხთა ცნობიერებას განსაზღვრავდა და დღესაც განსაზღვრავს ტრადიციული წერილობითი კულტურა)... დღეს არსებული ქართველთა ზეპირი თუ საშინაო მეტყველებანი სამწიგნობრო ენის (საერთოქართველური მოდელის) მეორეული ვარიანტები არიან როგორც ფონემატური და მორფოლოგიურ-სინტაქსური, ასევე, ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურების მიხედვით; გამომდინარე აქედან, ქართველური (ზოგადქართული) სამწიგნობრო ენის ფონზე ქართველთა (სვანთა, მეგრულ-ლაზთა, მესხთა, ფხოველთა, რაჭველთა, ქერთა და ა.შ., საშინაო მეტყველებანი ჩვენთვის დიალექტებად კვალიფიცირდება.

მირიან შაბანაძე

დუქნისწყაროს ხაზმარა, მარსიანის მიერ ნახაბი და A ფორმის სტანდარტულ ფურცელზე გადაწერილი (მარსიანი — ქაჯებთან შეპირდული და უკმაყოფილო გმარა, მუშაობს კაცკახიურ სახლში, ზოდატყობი ლობი) „დუქნისწყარო ჩემი სოფლის ტბაა. ოდესღაც აქვე ახლოს დუქანი მდგარა და ამიტომ დარქმევია ამ ტბას სახელი. აქ ხალხი ბანაობს (ზოგი იხრზობა კიდევ). წარმოიდგინეთ ხე-ბუჩქნარით გადაფარული ხაბო, უფსკრული, სიმაღლითა და საგრძნობიანით დაახლოებით თხუთმეტი-ოცი მეტრი, რომელშიც ძალიან ღრმა ტბაა ჩაგუბებული (აღბათ ხაღრმითაც თხუთმეტი-ოცი მეტრი იქნება). დასავლეთის მხრიდან არის ვიწრო, ქვიან-მიწიანი ციცაბო ჩასასვლელი. შემდეგ პატარა, დამრეცი, ეკლიან-ბალახიანი მოედანია, ტბის სანაპირო. მოპირდაპირე მხარეს, აღმოსავლეთით კლდოვანი კიდე აქვს — წყლის ზედაპირიდან ათიოდე მეტრის სიმაღლეზე, კლდეში გამოქვაბული ჩანს. იქამდე ვიწრო ბილიკით შეიძლება ასვლა. ტბის მარჯვენა კლდიდან, გამოქვაბულის მარჯვნივ და მარცხნივ კლდოვანი კიდეები უსწორმასწოროა, დაკბილული. შეიძლება ცურვით იქამდე მისვლა და კლდის გამოთხვევებიდან მობანავენი წყალში ხტებიან. ყველაზე მაგარი მხტომელები სულ ზემოდან, თხუთმეტი-ოცი მეტრის სიმაღლიდანაც ბედავდნენ ამ ტბა-უფსკრულში გადაშვებას. სიყმაწვილეში მეც ვეკუთვნიოდი ამ დიდოსტატ მხტომელთა რიცხვს.

ბავშვობიდანვე, ფაშიდან-ფაშივე მესიზმრებოდა: ვითომ დუქნისწყარო დამშრალა და მის ტალახიან ფსკერზე აქა-იქ დარჩენილი წყლის გუბები. არ ვიცი რატომ, მაგრამ დამშრალი დუქნისწყარო ხაშიშია, მომაკვდინებლად უდაბური. მაგრამ კიდევ უფრო საზარელია იგი, როცა დამშრალი არ არის. ვითომ ზემოთ ვდგავარ გადასახტომად, ძალიან მაღალი მერყუნება გადასახტომი, ქვემოთ კი უძრავად ბობოქარი წყალი ელვარებს. თავზარი მეცემა და სანუკვარი შიში ტანში მაზრიალებს; ზრიალებს საზარელი დუქნისწყარო, უფსკრულში ჩაკლდე-ვებული და წყალმოლეგარე; გადახტომა კი რატომღაც აუცილებელია... მერე უკვე მენსიერება ითიშება, აღარაფერი მახსოვს...

წყლის პირას მარსიანი ჩამომჯდარიყო ცხადში (ცხადი, ეს არის მდგომარეობა, რომელიც მარსიანი სიზმრებს ახვევს, როგორც ქალაქში თამბაქოს). გაფართოებული? (და მიყლებით ეწეოდა სივარულს. ნაფაზს ნაფაზზე ურტყამდა ინდიელთა უზუცესების მსგავსად („სიმღერა პაიავათასი“). თან დროდადრო მტკივან ფეხს იზელდა სახეზე-წუხებულად, უმიზეზო, უცნაური დარდით აღსავსე (როგორც თბილისელი აკა მორჩილაძე იტყოდა). თითქოს, ფარულად ღთმისვით ალოკავს თავის ჭრილობებს, ტბის თავზე კი კვამლის ბოლქვები უცნობ ფიგურებდა იშლებოდნენ. ეს ადგილი წყალტუბოშია, ამიტომ მოულოდნელი არაა რუსი ტურისტების გამოჩენა, თავიანთი ქაჯური დიალექტით ტბის ჩაგუბებულ ვთერს რომ არდგვივენ. ძლიერდება კვამლი და სევდა. რაღაცის მოლოდინიც; და აი, უზადო და წითელთმიანი, თხელკაბიანი ქალი დახარხარებს გამოყოფი და ყურებდაცქვეტილი, არის-ტოქრატა ბაღდის თანხლებით, მსუბუქი მოძრაობით კლდის ქაშზე გადაინაცვლა. ტბაზე ფერები „უფრო მკვეთრია, სიწმინდე კი აუტანელია. ირვვლივ ყველაფერი დაიბნა, ვიწრო შეიშნა, თითქოს პაერში ბენ-ზინის ორთქლია, მარსიანის თვალები ცეცხლს აფრქვევს, მაგრამ ხელი, მსუბუქი ქარი ფანტაჯს დაძაბულობას და ქალის თმებს ეთამაშება. ღთმის სიმშვედეს ინარჩუნებს მარსიანი, რათა შემდგომში კამბო შექრას, მსხვერპლს კისერში წვედეს, ანდა მის ფეხებით განსრუტავს, მისა და მბრძანებელი ვით სხეულში გაერთიანდეს. თანდათან ხევისა და ტყის უზარი უბრუნდება. ტბისკენ მბრუნებული ქალის მოკლე, გამჭვირ-

ვალე კაბაში ყველაფერს დეტალურად ხედავს, თანაც მოვინებებს ეთამაშება. ხედავს ხე-ბუჩქნარით გადაფარულ ხაბოს, უფსკრულს (სიმაღლითა და სიგრძე-სიგანით თხუთმეტი-ოცი მეტრი), რომელშიც ძალიან ღრმა ტბაა ჩაგუბებული, სიამოვნებს იმის შეგრძნება, რომ ანალიზის უნარს არ კარგავს ისევ ირონიული რჩება (ტბა აღბათ ხაღრმითაც თხუთმეტი ოცი მეტრი იქნება). დასავლეთის მხრიდან არის ვიწრო, ქვიან-მიწიანი ციცაბო ჩასასვლელი. შემდეგ პატარა, დამრეცი, ეკლიან-ბალახიანი მოედანია, ტბის სანაპირო მოპირდაპირე მხარეს, აღმოსავლეთით კლდოვანი კიდე აქვს. წყლის ზედაპირიდან ათიოდე მეტრის სიმაღლეზე, კლდეში გამოქვაბული ჩანს. იქამდე ვიწრო ბილიკით შეიძლება ასვლა, ტბის მარჯვენა კიდიდან. გამოქვაბულის მარჯვნივ და მარცხნივ კლდოვანი კიდეები უსწორმასწოროა, დაკბილული. შეიძლება ცურვით იქამდე მისვლა და კლდის გამოთხვევებიდან მობანავენი წყალში ხტებიან. ყველაზე მაგარი მხტომელები სულ ზემოდან, თხუთმეტი-ოცი მეტრის სიმაღლიდანაც ბედავდნენ ამ ტბა-უფსკრულში გადაშვებას. სიყმაწვილეში ისიც ეკუთვნიოდა ამ დიდოსტატ მხტომელთა რიცხვს. ვითელი თმები ტბის ტალღებში ირევა. ქარი ქალის კაბას ეთამაშება, ამისდაკვალად იცვლება ბეიზაფი. ხან კლდეები ჩანს, ხან ეკლები და ბალახები. ქარს მიშვება მარსიანის ფიქრებიც. მისი სიზმრისეული ღოვიკა წყნარად ეძებს გამოსავალს, შედეგიც ან აქედან გათავისუფლებაა, ან თავის დაკარგვა. გამოსავალი: კლდეზე ალია, ტბას გადაჰყურებს და თანაც გრძნობს, ზურგიდან უყურებენ — სიამოვნებს და ინარჩუნებს

დუქნის წყარო

დაძაბულობას მისგან, ყველაფერს უნდა ელოდე. ებანოძებში ამბობენ მარსიანის ბაბუაზე, ალმა კლდიდან გადაავდომო. მთებში ყანა და კარავი ჰქონია (ამ ადგილს ახლაც ოქრობირის ნაკარავებს ეძახიან). მუშაობით დაღლილი ოქრობირი ღამით კარავში რჩებოდა, ქვეშ ომში გამოტარებული „ტელეგრიკას“ დაიფენდა და სხეულს ძიღს მიანებებდა, მაგრამ დამლაშობით, უცნაური ხმები არ ასვენებდა. ეს არ იყო კრუალების ან ჭრიჭინების ხმა. კვნესა-ძახილი უფრო ქალის ხმას წაავადდა. თოფს დაავლებდა ხელს და მთვარიან ღამით გარეთ გამოფარდებოდა ოქრობირი. ხმა სულ უფრო შორიდან იწვევდა. კვნესა ძლიერდებოდა და თავისკენ უხმობდა. მშიშარა არ იყო, ომი ჰქონდა გამოვლილი, მაგრამ ამ ხმაზე მაინც ტანში აზრიალებდა, ფრთხებოდა და ჯადო იმყრობდა. თითქოს ყელზე ბაწარი ჩააბესო, საღდაც მიათრევდნენ. ერთხელაც, ღამით კლდის ბილიკზე შემდგარს მუხლები აუკანკალდა და თავზარი დაეცა, რაღაც მანათობელი მოძრაობა მისი მიმართულებით. გადაწყვიტა, გაქცეულიყო, მაგრამ თვალები ველარ მოაცილა — მთვარის შუქზე ალის განათებული თმები მოირჩეოდნენ. ალის სხეული შიშველი იყო. ამის მერე ოქრობირი სოფელში აღარავის უნახავს. თუმცა იმ ადგილზე, სადაც ოქრობირის ნაკარავებია, ხშირად ახლაც ასდის უცნაური სინათლე ბუჩქებს.

ქარი ჩადგა და ქალიშვილი მარსიანის მხარეს მობრუნდა. თანაც ძაღლს უბიძგა, უცნაური ფესტიო, მოსცილებოდა. ძაღლი მარსიანთან მივიდა და ბალახებში რაღაცის ძებნა დაიწყო. გოგონა მისთვის შეუფერებელი უხერხულობით მოუახლოვდათ, ბოლოწამს მოაბრუნა სახე მათკენ.

- თქვენ მარსიანი არა ხართ?
— კითხვის ადრესატს ელდა ეცა. ალი მის ენაზე ლაპარაკობდა აშკარად და არა რუსულად. შეეყოყმანდა.
— დიახ, საიდან მიცნობთ?
— თქვენ ხომ მწერალი და კრიტიკოსი ბრძანდებით.
— დაფუშვით, მაგრამ თქვენ რა იცით?
— ვკითხულობთ, თან მეც წყალტუბოში ვცხოვრობ.
— ესენი ვინ არიან?
— ესენი შოტლანდიელებია. სტუმრად წყალტუბოში.

მარსიანს ცოტა გულზე მოეშვა. თანაგრძობით გადახედა შოტლანდიელებს. „მამაცი გული“, ბრძოლა ინგლისელების წინააღმდეგ, ისევე, როგორც ჩვენთან, რუსებს ვებრძვიო. პელოუ, პელოუ, პაი, მაგრამ გულიც დაწვდა. მის წინ კარგი, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი ქალიშვილი იდგა, ეს არ იყო, ნამდვილად არ იყო ალი. თმებიც ახლოდან უფრო შავი ჩანდა. მორჩილი, და თქვენ წარმოიდგინეთ, ცოტათი მორცხვიც იყო. რაც მთავარია, ლაპარაკობდა ქართულად, გამართული, მშობლიური ქართული ენით. ცოტათი ეს საეჭვო უცხოელები რომ არა. რას უნდა აკეთებდნენ! საქართველო საგსება ასეთი გაურკვეველი ხალხით, გაურკვეველი მიზნებით რომ ამოძრავებო. ტყეებში შეიძლება ბენ ლადენიც შეგვხვდეს, თუმცა ცივილიზებულ ბარბაროსებს ისევ ბენ ლადენი სჯობს. გოგონა ძაღლს დასდევდა. მაგრამ როდესაც უცხოელები მარსიანს მიუახლოვდნენ, ძაღლს თავი დაანება და თანამეგობრულე ორ მამაკაცსა და ერთ ქალს წარუდგინა, აშკარა სიამაყით, რაც შეამჩნია მარსიანმა, მაგრამ არ გაკვირვებია. აღბათ, უცხოელებს უნდა თავი რომ მოაწონოს, მარსიანის სახით ხომ, აქ, ამწუთას მთელი ქართული კულტურა დგას. ქალების ყურადღებას არასოდეს არ უნდა ეწოდო. ლაღატი, ორსახოვნება, თამაში, რომლის უკან ძალაუფლებასთან გარყვნილი ფლირტი დგას, ამის გარეშე მათ არსებობა არ შეუძლიათ, ეს ქალიშვილიც, თუკი იგი ქალიშვილია, წყალტუბოელთა კომპლექსებიანი უმრავლესობის ნაწილი იქნება, უარეს შემთხვევაში კი — ამ წარმოსადგევი უცხოელის საყვარელი, ყველა შემთხვევაში იგი წყალტუბოელია. მარსიანის ენაზე — ქაჯი, ბუდისტურად კი — შაია, ილუზია, არარაობა. მარსიანმა ვერ შეამჩნია, როგორ შეაქცია ზურგი, უცხოელებს ადგილას ხედავდა იგი ალს, რომელიც, მართალია, დაუნდობელია, მაგრამ პირდაპირი. მარსიანს შურდა კიდევ ბაბუამისის, ნეტარების ჟრუანტელს გრძნობდა, როდესაც თავს ოქრობირის ადგილზე წარმოიდგენდა და სურდა, ნამდვილად სურდა, ზურგიდან იმ ალს, აქ რომ ხედავდა, ხელი ეკრა, გადაეგდო ქარაფებზე მისი სხეული, ნაცვლად ტანჯვისა, რითაც წყალტუბოელები უმასპინძლებოდნენ. მან ისევ ცხადად წარმოიდგინა ალის გამჭვირვალე კაბა. ფეხებს შორის ეკლიან-ბალახიანი მოედანია დაკბილული, უსწორმასწორო, კლდოვანი კიდეებით და ვიწრო ბილიკით, ზემოთ კი გამოქვაბული, საოცნებო გამოქვაბული, სადაც აიტან და გადაყრი ყველა გულისწყრომას და ამოავსებს უკმარისობას. ქარი ძლიერდება... ხე-ბუჩქნარით გადაფარული ხაბოსკენ მიისწრაფვის მარსიანის კოჭლი სხეული, რათა უფსკრულში დაინთქას. მღვრიე წყლებში სმენა დაიხშოს, ნაწილებად დაინგრეს. როგორც ახლა ტბის ანარკლში და ჩაყლაპოს შავმა ხანამ, ნაწილ-ნაწილ შესხლტეს უკუნში, სადაც აღარავინაა უკმაყოფილო, აღარ არსებობენ ქაჯები. აღარ არსებობენ? ქაჯები იქაც არ გასვუნებენ, იქაც დაბრკოლებებს ქმნიან, გაყოფნებენ, გზაზე ვიდგებიან, მათგან საშველი არაა, უნდა გადავხტე. უნდა გადავხტე, მიუხედავად იმისა, რომ გვთხოვენ არ დავამთავროთ, ცოტა შევიჩერდეთ, უფსკრულის პირას ფერხული გავმართოთ, შევიჩინარწუნოთ დაძაბულობა ბოლო წერტილში... ეს ხომ ქაჯთა ხელოვნებაა — არ გადახტე, ნერვები დაიწყვიტო, იცაპკო, იცაპკო, უმიზნოდ და შედეგის გარეშე. შეინარჩუნო „უძრავად ბობოქარი წყლის ელვარება. ზოდალებს საზარელი დუქნისწყარო, უფსკრულში ჩაკლდევებული და წყალმოლეგარე. ყველაზე მაღლიდან, ყველაზე გმირულად უნდა გადახტე. სად ხართ ალებო, თქვენი მომწესხავი, საბუდისწერო ვხუბით უფსკრულისკენ რომ გვიწინამძღვროთ?.. ზურგიდან ვიდაც უახლოვდება. ქარი ჩადგა, წყალი ვაჩერდა. რაღაც ძალიან მშვიდი და უცნაური ხდება მის უკან. ვიდაცის ხელები ნაზი და შეყოვნებული მოძრაობებით ეფერება მარსიანის ზურგს.

რეზიუმე

ვიორჯი მერსულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ყურადღებას იმყოფებენ ერთი ეპიზოდი, რომელიც საბაკ ამირას მიერ ზურგგამაგრებული ცქირის აღზევებისა და ზღვარდაუდები ბოროტების შესახებ მოგვითხრობს. მას შემდეგ, რაც „მძლავრებით დაიპყრა ანჩი“ და შესძინა „ძური ძურსა მისსა ზედა მრავალი“, უკეთურმა წმ. მამა გრიგოლის მოკვლა განიზრახა, ხელმოცარვით „აღგორგებულმა“ კი ხანძთის ტაძრის დანგრევა გადაწყვიტა: „ქუეყანისა ანგელოზმა“ მის მიერ გაგზავნილ ხალხს სთხოვა, დავალებინა შესრულება შუადღემდე ვადადლოთ, რათა ღმერთს შევედრებოდნენ, რომ ტაძრის გადასარჩენად სასწაული მოვლდინებინა. როცა ლოცვა ვერ კიდევ დაძაბვრებულიც არ პქონდათ, უფალმა წმ. მამებს ანგელოზის პირით აუწყა, რომ ბოროტ მტერს „საღმრთოდ შურისგებაჲ ეწია“. მალე მაცნეც მოვიდა და ხანძთელ ძმებს ახარა, რომ ტაძრის დარღვევა აღარ იყო საჭირო, „რამეთუ დამარღვეველი მაგის მოკუდა“.

ავტორის მონათხრობის თანახმად, გზად მიმავალმა ცქირმა ბური ჭამა, „მიერულა და საშინელი ჩუენებაჲ იხილა, სამხილებელი ბოროტთა საქმეთა მისთაჲ, უფროსდს ხოლო ხანძთელთა ბოროტის-ყოფისათჳს... და ვითარცა მიიწია ქორთას, მოკუდა ხოლო და მუნ დაძფლეს უფლისა მეორედ მოსლვაჲმდე“.

აღნიშნულ მონაკვეთთან დაკავშირებით მეცნიერულ ლიტერატურაში გაერთიანებულია ახეთი თვალსაზრისი „იქ, სადაც არ ჭრიდა მადლი, გრიგოლი მოქმედებდა კანონის სახელით, თუნდაც ეს ყოფილიყო სისხლი სისხლისა წილ, ქრისტეს იმ ცნობილი პრინციპით, რომ მოველო არა მხოლოდ მშვიდობად, არამედ მანვილითაც. ცქირის ჩამოშორება მნიშვნელოვანი აქტი იყო. გრიგოლმა ცხადყო, რომ დგება ხოლმე უამი, როცა მას ლოცვის დროსაც შეიძლება ეუწყოს აუცილებლობა დაუნდობელი შურისძიებისა, რაც მთავარია, ავტორის ყოველივე ეს მოწოდებული აქვს ძალზე მადალი ლიტერატურული კულტურით. ცქირის მკვლელობა შეფარულია ქვეშარტი ხელთვნის ოსტატობით, რათა მკითხველმა უშუალოდ არ მიაწეროს ეს გრიგოლის მომხრეებს და ამავდროს მას პქონდეს განცდა, რომ ცქირი იმსახურებდა გრიგოლისაგან სიკვდილით დასჯასაც კი“ (რევაზ სირაძე).

მონათხრობი თვალსაზრისზე დაყრდნობით ანალიზური დასკვნებისა გამოტანილი მეცნიერებასეულობის გან-

კუთვნილ სახელმძღვანელოში „საუბრები ქართულ ლიტერატურაზე“.

ქრისტოლოგიური თვალსაზრისით (პაპოვარაფიული ლიტერატურის ანალიზისას კი სწორედ ქრისტიანული მსოფლმხედველობით უნდა ვიხელმძღვანელოთ) ამ შეხედულების გაზიარება შეუძლებელია.

ხანძთის ტაძრის აშენება განგების მიერ წინასწარ განსაზღვრული, ციოკურთხეული მოვლენა განსაზღვრული იგი წმინდა ვიორჯის სახელობისა, მას ქართველთა უპირველესი წმინდანი, ვეშაბთიმბრძოლი ვიორჯი კაბადოკიელი იცავს და მფარველობს. ტაძრის გადარჩენას წმ. მამები ქრისტესა და მის ზეციურ მხედრებს შესთხოვენ. „შვილნო, დრო მეციოთ მე და ძმათა ჩემთა ვიდრე შუადღემდე, რადთა წმიდასა შინა ეკლესიასა ვყოთ ვედრებაჲ წინაშე ქრისტესა და შევიწით წმიდაჲ ვიორჯი და ყოველნი წმიდანი და ყოს უფალმან სასწაულ კეთილ“, — მიმარ-

თა ტაძრის დარღვევის მოსურნეთ გრ. ხანძთელმა.

უფალმა ისმინა მისი მხურვალე ლოცვა-ლაღლისი და ბოროტებით აღბორებულ ცქირს თავისი სამართლიანი რისხვა დაატყვა: „უამსა მას ცრემლით ვედრებისა მათისასა ისმინა უფალმან თხოვად მათი და წმინდისა ანგელოზისა მიერ“ ცქირის უეცარი სიკვდილის შესახებ აუწყა მათ.

უდავოა, წმ. გრიგოლმა მსჯავრის გამოტანა განგებას მიანდო. ღვთის წინაშე მუხლმოყრილი, მადლა ხელაპყრობილი და ცრემლდადენილი, იგი ლოცულობს, რათა გადარჩეს ხანძთის ტაძარი — მისტიკური სხეული ქრისტე მაცხოვრისა. უფლის ყოვლისმძღვანელობაში დარწმუნებული, იგი არამც და არამც არ იღებს კისრად დამსჯელის ტვირთს, რამეთუ მთელი არსებით აქვს გასივრძელებული ქვეშარტიკება იოანე ოქრობირის შეგონებისა: „უკეთუ ვინ შეგაწუხოს და გენებოს ნაცვლის მიგებაჲ, ნუ მიავებ ბოროტსა და მოთმინებით მივიგიეს... რაჟამს არა ავნო, მაშინ ღმერთი იქმნების მიმგებულ ბოროტის მყოფელის მის შენისა. ხოლო, რაჟამს შენ თვით იწყო ბოროტის ყოფად მისდა, მერმე ღმერთი არღარა მას, არამედ შენ გემტერების, რამეთუ დახსენ სიტყვა იგი წერილისა, რომელი იტყვის: „ნემი არს სასჯელი და მე მივაგო“.

უფლის სასჯელმაც არ დაიგვიანა: „საღმრთოდ შურისგებაჲ ეწია ბოროტსა მას მტერსა“. გ. მერსულე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამ სასწაულის მოქმედი თავად უფალია: „და ვითარცა ესე ჳმაჲ სინარულისა მათისაჲ ესმა ანგელოზისაგან ანგელოზთა სწორთა მამათა, განიხარეს ფრიად და დიდებაჲ შეწირეს ღმერთსა, რომელმან ყვის საკურველი მხოლოდმან და გულისხმა ყვეს წერილისაჲ, ვითარმედ: „უგუნური რისხვამან მოკლის“, რომელი მარადის უწესობასა იწურთიდა და მართალთა თანა შეერაცხა თავი თჳსი“.

უფლის განაჩენი სასტიკია და უღმობელი, რადგან ცქირი არ არის ჩვეულებრივი ცოდვილი. ღმერთშემოსილი მამის სიცოცხლისა და ღვთის სახლის ხელყოფის მოსურნე, იგი ხორცშესხმულ ბოროტებად წარმოგვიდგება. მასში თავად სატანაა ჩასახლებული.

„დემონებს არა აქვს თავისი ხილული სხეული, მაგრამ ჩვენ შევიქმნებით ხოლმე

მათთვის სხეულებად, როცა სულთ მათს ბნელ ზრახვებს ვეზიარებით, რადგან, შევიწყნარებთ რა დემონთა ბოროტ ზრახვებს, ამით თვით დემონებსაც ვლებულობთ ჩვენს სულში და სხეულში, რითაც ხილულებად ვხდით მათ“, — გვასწავლის წმ. ანტონ დიდი.

ცქირი დემონის ზრახვათა შემწყნარებელია, მასში ხილულად ბოროტს ეშმაკის სიბილწე და ბოროტება, მისი გარდასახვა - ფერი სცვალება შეუძლებელია, იგი უნდა განადგურდეს. ამიტომ მოუვლენს ესოდენ მკაცრ სასჯელს უფალი მას.

კაცობრიობის ისტორიაში კარგად არის ცნობილი არა ერთი და ორი მაგალითი იმისა, როდენ სასტიკად მიავებს ზენაარი სიწმინდეთა შემუსვრულთ (ან ამის მოსურნეთ).

წმ. წერილი მოგვითხრობს, რომ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორს, რომელმაც იერუსალიმი დალაშქრა და გადაბუგა, უფლის სახლი გააპარტახა, ღვთისმსახურებისათვის საჭირო ჭურჭელი კი ბაბილონში გაზიდა, ღმერთმა შვიდი წლით კაცთაგან მოკვეთა, მინდვრის მხეცებთან ცხოვრება და ხარების მსგავსად ბაღახის ძოვა მიუხაჯა, მისი შვილი ბელშაცარი კი, რომელმაც, ვალეშილმა, იერუსალიმიდან მამამისის მიერ წამოღებული საღვთო ჭურჭელი წვეულებაზე მეფეს, მის ცოლებსა და ხარკებს ღვინის ხასმელად ჩამოურიგა, იმავე ღამით იქნა მოკლული, მისი სამეფო

კი მიდიელებმა და სპარსელებმა დაიწაფილეს (დახიული, თ. 4-5).

საღვთო გაზრდამოცემა იმასაც გვუწყებს, რომ საღვთმებას, რომლის მოთხოვნითაც იოანე ნათლისმცემელს თავი მოჰკვეთეს და „მიართვეს თავი მისი ღაბჯითა“ (მათე, 14, 11), უფალმა მთელი სისასტიკით მოჰკითხა: როცა მხლებლებთან ერთად გაყარულ უღბაზე გადაიდა, ყინული ჩაუტყდა და წყალში ჩავარდა. ჩავარდა ისე, რომ ნაბილიდან მხოლოდ თავი უჩანდა, მერე ყინულის დიდი ნატყვი დაიძრა, მისკენ გასცურა და თავი წააცალა... და იგი საღვთმება თავი ყინულის ღაბჯანზე, ვითარცა ხელშესახები საბუთი უფლის სამართლიანი მისაგებებისა.

საქართველოს არცთუ შორეული წარსულის შემართანე იმის შესახებაც მოგვითხრობს, რომ ვეზარქოსი თოფილაქტე რუსანოვი, რომელმაც წმ. ნონოს საფლავის ხელყოფა განიზრახა, განგებამ საკადრისად დასაჯა: „დილით ადგა თურმე, მოემზადა წირვისთვის, გამოგზავნა თავისი მორჩილი, დაიწყეს ზარების რეკა და სამღვდლოებაც უცდიდა შესახვედრად. რომ აღარ იქნა და აღარ გამოვიდა, ბოდბულმა უთხრა მის მორჩილს: „აბა, წადი, ნახე, რა მიზეზია, რომ ასე იგვიანებსო?“ წავიდა მორჩილი, შევიდა მის ოთახებში და, შენს მტერს, რომ იმას ელდა ეცა! სავარძელში გადაშლართული ვგლო შენი თოფილაქტე!“ (ეპისკოპოსი ვასილ კარბელა შვილი, ციტატა მოხმობილია პროფ. ა. მინდიაშვილის წერილიდან: გზ. „ქუჯი“, 2001 წ., №28).

საღვთო წერილზე აღზრდილ წმ. გრიგოლს ღრმად სწამდა უფლის სამართლის არსებობა, ამიტომაც მიანდო ტაძრის ბუდი განგებას, არც სიტყვა, არც ქმედება, არც ცხოვრების წესი, არც მრწამსი და მსოფლმხედველობა „ზეცისა კაცად და ქუეყანისა ანგელოზად“ სახელდებული წმ. მამისა არ ვგაძლევს საფუძველს, იგი მკვლელად (გინდაც — მკვლელობის ორგანიზატორად) გამოვაცხადოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვჭვი უნდა შევიტანოთ არამართო წმინდანის მხურვალე ლოცვისა ძალასა და საქართველოს მფარველი წმინდანის, წმ. ვიორჯის საკვირველმოქმედებაში, არამედ უფლის სამართალშიც. არადა, უფალი ხომ ვარკვეულ ზღვრამდე დაუშვებს ბოროტების არსებობას, ხოლო, როცა მისი აღზევება ყოველგვარ ხამანს გადასცდება, იგი დაუყოვნებლივ აცხვობს მას, რათა ადამის მოდგამ თვალნათლივ იხილოს წინახაზობრივი ხურათი უკანასკნელი ყამის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოქმეტი — ბოროტების დღემოკლეობის და სიკეთის უკვდავებას.

ჩვეულებები და აბაჩვეულები ნუკტი ქაბქაღიანი



— რა ღონეზე ღვას თეატრალური ცხოვრება ქუთაისში?

— მსახიობებისათვის ჩვენთან კარგი პირობები შექმნილი გვაქვს წესრიგი, გათბობა... აღრე პალატოებით გავდილობთ რეპერტუარს; ეკონომიური მდგომარეობაც გამოსწორდა. ყოველივე ეს ღირებულებისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ჯიხრან ფაჩუაშვილის დამსახურებაა.

თეატრალური მოღვაწეობის თვალსაზრისით, ვფიქრობ მეტის გაკეთება შეიძლება. ამჟამად თეატრში ისეთი დასია, რომ შესაძლებელია რეპერტუარში იყოს ყველა ენარის პიესა. ძველთაობასთან ერთად გვეყვს საკმაოდ ნიჭიერი აბაღაზრდები, პლასტიურები, მუსიკალურები. მათი ღიღი იმედი გვაქვს და აუცილებლად მიმანია სრული დატვირთვით მუშაობდნენ ისინი.

პრობლემა რომელიც დაღობო წლებში თეატრში, რა არ მოგწონთ, რა უნდა შეიცვალოს?

პრობლემა უამრავია. მაყუარელები მოდის არა



თავისი სურვილით, არამედ მოჰყავთ. ინტერესი დაიკარგა თეატრის მიმართ. რომ ვთქვათ რეპერტუარი არ მოსწონთ-თქო, ალბათ, არ იქნება სწორი, ერთხელ ხომ მიიწი უნდა ნახონ სპექტაკლი.

— რა როლს თამაშობს მსახიობის განწყობაზე მაყურებლის ინტელექტუალური ღონე?

— ძალიან დიდ როლს, იგი განსაზღვრავს სპექტაკლის ხარისხს. როდესაც გრძობს ინტელექტუალურ მაყურებელს, მსახიობი მუშაობს მთელი დატვირთვით. ასე უნდა იყოს ყოველთვის; ზოგჯერ დარბაზში ცარიელია, სულ რამდენიმე კაცია მოსული, მაგრამ შეიძლება ერთ-ერთი მაყურებელი ისეთი მაღალი გემოვნების იყოს, სასუქ დარბაზიც „გადაწონოს“.

— როგორ გრძობთ, რომ მაყურებელი თქვენთანაა?

— ამას მსახიობი შინაგანად შეიგრძნობს. გისმენენ, მოდის სწორი რეაქციები დარბაზიდან, გიკარგენ ტაშს ე.ი. მაღლობს გიხდინან. რა უნდა იყოს ამაზე კარგი.

— რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ ქუშპარტი მსახიობი გრძება?

— აუცილებელია ნიჭი, შრომისმოყვარეობა, ზომიერება და კარგი რეჟისორი.

— რა ეპოქაა გაჭოთ კულისებში და რას გრძობთ სცენაზე?

— სხვადასხვაგვარი, გაანია როლს. კულისებში ემზადები სცენაზე შესასვლელად. სცენა კი საოცარი რამაა. იქ ცხოვრობ სხვადასხვა

დროში, სხვადასხვა გმირის ცხოვრებით. გიხარია, იტანებ, უყვარხარ, სძულხარ, ოცნებობ, იბრძვი, გკლავენ. ცხოვრობ სხვისი ცხოვრებით, თუმც ეს ყველაფერი შენია, შენში გატარებული გრძობები. სცენის გარეშე მსახიობი ვერ იქნები.

— რა გიჩვენიათ: გჭონდეთ მთავარი როლი თუ ეპიზოდური, მაგრამ უფრო საინტერესო იყოს გმირის ხასიათი?

— მთავარ როლზე უარის თქმა არც ისე იოლია, მაგრამ არის მსახიობის ბიოგრაფიაში კარგად შესრულებული ეპიზოდური როლი, რომელიც არანაკლებ გიფარს და მისი გახსენება სიამოვნებას განიჭებს.

— რეჟისორი... რომელთან მუშაობა თქვენთვის საინტერესო იყო.

— სხვადასხვა რეჟისორებთან მუშაობა ძალზედ საინტერესოა, ყველას რაღაც აქვს თავისებური, უცხო და გამოჩენილი მრავალ რეჟისორთან მუშაობა მუშაობა 34 წლის მანძილზე, მაგრამ მათგან მანც გამოვარჩევილი აწ განსვენებულ იური კაკულიას. მას ჩემს პედაგოგად ვთვლი.

თუ რამე ვიცი და შემიძლია მუშაობა, ეს მისი წყალობაა. დიდ პატივს ვცემ რეჟისორებს: გოგი ქვეთარაძეს, ელგარ ევაძეს, გურამ მაკობინაშვილს, ლილი იოსელიანს, ნუგზარ ლორთქიფანიძეს. თითოეულმა ჩემს შემოქმედებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. შემეფარეს მაგიდასთან მუშაობა; იქ ზღვება გმირის ხასიათის ძიება, მიგნება, მოსინჯვა.

— ეს თველი საუკეთესო პარტიორად?

— ერთბა სენაძეს, დათო დვალისვილს, როცა ის ჩვენს დასში იყო და ვაჟა ოყრეშვიტს.

— გიოცნებიათ თუ არა, რომელმე მსახიობს გვერდით მდგარიყვით სცენაზე?

— მრავალი ავტორიტეტის გახსენება შემიძლია ერთ-ერთი მათგანი იყო მარი გელაშვილი და კიდევაც ამისრულდა სურვილი რამდენიმე პიესაში ვიამაშობდი მასთან ერთად.

— თქვენი საყვარელი მსახიობი?

— ბევრი მსახიობია კარგი და ნიჭიერი, მაგრამ მე მათ შორის გამოჩენულად მომწონდა და თავიანთს ვცემდი სურგო ზაქარიაძეს და სესილია თაყაიშვილს. ისინი შეუღარებლები იყვნენ. კიდევ ძალიან მიყვარს ზურაბ ყოფშიძე — საინტერესო და მრავალმხრივი მსახიობია.

— კინომსახიობობაზე თუ გიოცნებიათ?

— მგონი ამაზე ყველა მსახიობს უოცნებია.

რა თქმა უნდა მეც. ერთხელ სინგებიც გადამიღეს ანზორ ხერხაძესთან ერთად ფილმისთვის „ანარკლი“, თითქოს ძალიან მოეწონათ, მაგრამ...

— მსახიობობა მართამიღებლური რელიგიის მიხედვით ცოდავდ ითვლება, თქვენ რამდენად რელიგიური ხართ?

— ყველა ადამიანი ცოდავლია მეტ-ნაკლებად. ალბათ, ესეც ღვთის ნებაა, რომ მე ეს საქმე შევიყვარე უზომოდ და იმას ვაკეთებ, რაც შემიძლია. ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, ვცდილობ ვიყო ზნეობრივი, სამართლიანი, მიმტყვევებელი.

— რამდენად ჰგვანან თქვენს მიერ განსახიერებული გმირები ნუკრი ქორჯოლიანს და რომელია თქვენთვის ყველაზე საყვარელი როლი, რომელი უფრო დაგამახსოვრდათ?

— ჩემს ხასიათთან ახლოს არის სპექტაკლებში „ამიკო“ — დედის, ხოლო „დარბაზის მიღმა გაზაფხული“ — ბების როლი, მაგრამ მსახიობისათვის საინტერესო სამუშაო ყოველთვის ის როლია, რაც მისთვის უცხოა და ძიების დროს პოულობს რაღაც ახალს, მანამდე შეუძნეველს. რამც მეტ შრომას ჩადებ, ის მეტად გიფარს. ასეთია: ზიზი — სპექტაკლში „და ერთ მშვენიერ ღღეს“, გერი — „წელიწადის თორმეტი თვე“, მიაა კანდელაკი — „წმინდანები ჯოჯოხეთში“, ალაზა — „სტუმარ-მასპინძელი“, ელისაბედი — „ქერ დახოცნენ, მეტე იქარწინეს“, ამ უკანასკნელში სახასიათო როლი მაქვს, ამ დროს მსახიობი უფრო ლაღი და თავისუფალია.

— რას უსურვებთ მაყურებელს? — მაყურებელს ვუსურვებ კარგ სპექტაკლს.



სურვილსა და საშუალებას თეატრში მოსვლისა.

ნუკრი ქორჯოლიანი... ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი, ტრაგიკული და კომიკური, დიდებული და უბრალო.

საუბრობს გულსმბიერი ხმით, მისი ყოველი ვესტა მიმიკა დახვეწილი და ბუნებრივია, ვერ იტანს ზედაპირულობას, იგი მუდამ უპრეტენზიო და უბრალოა, ამიტომაც მაყურებელში ესოდენ პოპულარულია.

მსახიობისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება და ჯიღო — მაყურებლის სიყვარული ნურც მოკლებულად.

ბადონა დაღუნაშვილი, ელისო კორკალია

მხაწვრიული სტილის ზოგიერთი საყიობისათვის

მარინე კუხალაშვილი

მხატვრული სტილის პრობლემა აქტუალურია. სიტყვა სტილი განეკუთვნება იმ ტერმინთა რიგს, რომელსაც იყენებს რამდენიმე მეცნიერული დისციპლინა: ენათმეცნიერება, ხელოვნებათმცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ესთეტიკა. მაგრამ ცნება სტილი მხოლოდ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების კუთვნილებას არ შეადგენს. იგი ხშირად გამოიყენება სხვა მრავალი აზრითა და მნიშვნელობით ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროში: ლაპარაკობენ მუშაობის სტილზე, ხელმძღვანელობის სტილზე, ჩაცმულობის სტილზე და სხვ. სტილის გაგება აღმოცენდა ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში. აქვე იწყება მისი თავდაპირველი მნიშვნელობის რამდენადმე გაფართოება. ძველ რომში სტილს ანიჭებდნენ სიტყვის გამოყენების მნიშვნელობას პოეზიაში, პროზაში; მას უწოდებდნენ ენის გამომსახველობით

საშუალებას და სხვ. ცალკეულთა-გამონათქვამებში მიითიებული იყო სტილისა და შინაარსის კავშირზე, სენეკა ამბობდა: „სიტყვა სულის ფიზიონომიაა“. (ციტირებულია ვ.ა. კოვალის ფიგინიდან „мнообразие стилей О. Фрейденберга“, М. 1936). სტილის საკითხებს აშუქებდნენ აღმოსავლეთის ლიტერატურაში, განსაკუთრებით ინდოეთში, სადაც ორიგინალური შემოქმედების საფუძველზე ფართოდ მუშაობდა პოეტის, სტილისტიკის საკითხები. VIII საუკუნის ინდოელი მოაზროვნე ვამანა განსაზღვრავდა სტილს, როგორც „სიტყვების განსაკუთრებულ კომპოზიციას“.

აღორძინების ხანა მნიშვნელოვანი ეტაპია სტილის განვითარებაში. ამ პერიოდში ყურადღება ემკვება მხატვრული სტილისა და ენის უფრო პრაქტიკულ ამოცანებს, „მხატვრული სტილის თეორიის პრობლემატიკა ფრაგმენტული სახით გვხვდება, თვით სტილის ცნებაც ძალზე მოძრავ შინაარსთან არის დაკავშირებული: (ლი-

ტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, 2, 1965, მ. დუღუა, „მხატვრული სტილის პრობლემა“, გვ. 32).

ტერმინი სტილი სულ უფრო მეტად გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერულ დისციპლინათა მიერ. არაერთხელ მიმართავს სტილის ცნებას პეგელი თავის ნაშრომში „ლექციები ესთეტიკის შესახებ“. ცნობილია სტილის გოეთეველი გაგება რომელსაც იგი განიხილავს, როგორც მხატვრული შემოქმედების უმაღლეს საფეხურს.

ფართოდაა ცნობილი სტილის ლინგვისტიკური გაგება. სტილის, როგორც ლინგვისტიკური კატეგორიის ანალიზი, მოცემულია ვ. ვინოგრადოვის, რ. ბუდაგოვის, ვ. ლევინის და სხვათა შრომებში. სტილის ლინგვისტიკური გაგების მომხრეთა შორის მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ კ. ფოსლერს, ლ. შპიტცერს და სხვებს. სხვადასხვა მეცნიერთა გამოკვლევებში ხშირადაა დასმული საკითხი სტილის, როგორც ლიტერატურული მოვლენის გარკვევის შესახებ.

სტილის ლიტერატურული გაგება ცხარე დავას იწვევს სტილის საკითხების შესწავლისას. ლიტერატურული სტილის ფართო გაგებამ სულ უფრო მეტი მომხრე შეიძინა სტილის საკითხების დამუშავებისას შესწავლება არა მარტო ენა, არამედ სიუჟეტი, კომპოზიციკა, პორტრეტიზაციის თავისებურებანი და სხვა შემადგენელი ელემენტები მხატვრული სრულყოფისა.

სტილის ცნება გამოიყენება მრავალი სხვადასხვა გაგების — მწერლის მთლიანი შემოქმედების, ცალკეული ნაწარმოების, მხატვრული მიმართულების, ამა თუ იმ ეპოქის ხელოვნების, ეროვნული შემოქმედების, ლიტერატურული ენის, მწერლის ინდივიდუალური თავისებურების, ენარების ენობრივი და სტრუქტურული თავისებურებების, მეთოდის და სხვათა აღსანიშნავად.

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

რჩეული პარტიკულარი

პიტირიაზი სახელო...

1993 წლის 10 მაისს მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩ...



კეთილი საქმეების ინტერესებით აღსავსე წავიდა ამ...

ბესარიონ ჯორბენაძე დაიბადა 1942 წლის 31 აგვისტოს...

1972-81 წლებში იყო ახალი ქართული ენის კათედრის...

პროფ. ბ. ჯორბენაძე ფანტასტიკურად შრომისმოყვარე იყო...

დიდი იყო ბ. ჯორბენაძის ღვაწლი ახალგაზრდა...

მეცნიერთა აღზრდასა და დაოსტატებში. მისი ხელმძღვანელობით...

ბ. ჯორბენაძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩ...

დიდი ღვაწლი დასდო მკვლევარმა ქართველთა დიდი ალექსანდრის შესწავლის საქმეს...

იშვიათი იყო მისი ზნეობრივი კრედიტი. ერთი შეხედვით თითქმის თვინიერი და დამთმობი იყო...

ტკივილი, რომელიც მისმა მოულოდნელმა წასვლამ დაგვიტოვა, არ განუღებულა...

მან ბოლომდე მოუსყიდველი ერისკაცის ცხოვრებით იცხოვრა...

დოქ. მარინა მანუჩაძე

ქუ-ის ქართული ენის კათედრის გამგე

სწორმეტყველება

ზმნისწინის ფორმათა მართლწერა

ზმნისწინის გამოყენებისას ქართულში მიღებულია წესი: წმინსწინი+პირის ნიშანი+ზმნის დაბრუნენი ნაწილი...

მცდარია:

- ვანხორციელებ (ანხორციელებს)
ვანსახიერებ (ანსახიერებს)
ვანთავისუფლებ (ანთავისუფლებს)
ვანვითარებ (ანვითარებს)
ანცივირებს (განცივირება)
არდგენს (წარდგენს)
ინკურნება
ლზრდის
ლძრავს
ანზოგადებს
ანრისხებს
ანცალკეებს
ანსხვავებს
ანმტყიცებს

დაუშვებელია ზმნისწინის გაყოფა და ზმნაში პირის, გვარის, ქცევის ნიშნების ჩართვა:

მცდარია:

- აენნიშენ
ავლწერე

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისთვის მიუღებელია ზმნისწინის ხმოვნის შეცვლა...

დოქ. რუსუდან სალინაძე

მართებულია:

- ვანხორციელებ (ახორციელებს)
ვანსახიერებ (ასახიერებს)
ვანთავისუფლებ (ათავისუფლებს)
ვანვითარებ (ავითარებს)
აკვირებს (გაკვირება || განაკვირება)
ადგენს (წარადგენს)
იკურნება
ზრდის (აღზრდა)
ძრავს (აძვირა)
ანზოგადებს (განზოგადება)
არისხებს (განრისხება, დარისხება)
აცალკეებს (განსხვავება)
აცალკეებს (განაცალკეება, დაცალკეება)
ასხვავებს (განსხვავება)
ამტყიცებს (განმტყიცება, დამტყიცება)

მართებულია:

- აენნიშენ
ავლწერე

საყუდარი

ახალ ქართულში რელიგიური სალოცავების აღსანიშნავად გამოიყენება რამდენიმე ტერმინი: ეკლესია, მონასტერი, ტაძარი, საყუდარი...

ეკლესია ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს შესაკრებელს. ე.ი. თავდაპირველად ეკლესია იყო მორწმუნეთა კრებული, საკრებულო...

მონასტერი, საბას მიხედვით, ლათინურია. ქართულად „სამზრუნველო“ ჰქვია. ესაა მონაზონთა საკრებულო ანუ იგივე „საყანე“ (სადგური, სადგომი)...

თანამედროვე გაგებით, მონასტერი არის „ბერ-მონაზონთა საეკლესიო საადგილომყოფლო ორგანიზაცია, თემი, რომელსაც აქვს თავისი მეურნეობა, რელიგიური თემის ეკლესია და საცხოვრებელი ნაგებობანი“ (ქეგლ)...

უცხოური წარმოშობის ორივე ეს სიტყვა დადასტურებულია უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში. ჩვენს ენაში მათი დამკვიდრება უთუოდ უკავშირდება საქართველოს ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა-გავრცელებასა და ბიბლიური ტექსტების თარგმნას...

ტაძარი საბას მიანიხიან სომხური წარმოშობის სიტყვად (ტაჯარ). უძველესი და მომდევნო ხანის წერილობითი წყაროების ჩვენებით, ტაძარი არის 1) „სამღვდლო“, საუფლო, სამლოცველო სახლი, 2) მეფეთა ან მთავართა სასახლე, საწვეულო სახლი (ილ. აბულაძე, საბა)...

საანალიზო ლექსების სემანტიკა ახალ ქართულში გარკვეულად დავიწროვდა: „ტაძარი-საგანგებო შენობა ღვთისმსახურებისათვის, საერთო-სამლოცველო ეკლესია“ (ქეგლ). საგულისხმოა, რომ მოგვიანებით ამ სიტყვამ დამატებითი ელფერიც შეიძინა: ზოგადადამღებულის, სიწმინდის, სულიერი სიმაღლის გამომხატველი ხატობის თქმად მოგვევლინა („ისტორია იგი დადებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულს ერისს“ - ილია; შდრ. აგრეთვე: ცოდნის ტაძარი...)...

საყუდარი საერთო ქართველური წარმოშობის ლექსიკონი ერთეულია. უძველეს წერილობით ძეგლებში „საყუდარი“ ჰქვია ტაბტს, დასაჯდომ სკამს (სადაცა მეფე იგი საყუდართა თვისათა). ამავე ტექსტებში გვხვდება სიტყვები: „თანამოსაყდრე“ = „მოადგელი, საყუდარი, საყუდელი (ილ. აბულაძე)...

საანალიზო სიტყვა საბას ლექსიკონშიც მხოლოდ ტაბტს აღნიშნავს, მაგრამ აქ იგი უფრო სრულყოფილად დასახითებული სიტყვა-სტატია სკამის ანალიზისას. ავტორის აზრით, სკამი ბერძნულია, „რომელიც სკამი შეიკვრის და გაიწუნების, სელი ეწოდების; სხვა კეთილმრელებულსა დასადგმელსა - საყარტლო. გრძელსა და მრავალთ სასჯდომელსა - მერჯი; მეფეთა და მღ (რ)დელ(თ)მთავართ სადომელსა და ზედ გავალაქანსა - საყდარი, ვითონი ტაბტს უწოდებენ“...

ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში იმეორებს საყდარ სიტყვის საბასეულ განმარტებას, მაგრამ თანვე ხაზგასმით დასძენს: „საყდარი საზოგადო ლაპარაკში არის ეკლესია, пречтотль церковь“. ახალ ქართულში: „საყდარი - საგანგებო შენობა, სადაც სრულდება მღვდელმსახურება (წირვა-ლოცვა), ეკლესია, ტაძარი“ (ქეგლ)...

საგულისხმოა, რომ მეგრულსა და სვანურში არ გვხვდება უცხოურიდან შემოსული ტერმინები: ეკლესია, მონასტერი, ტაძარი. მეგრულში რელიგიური დაწესებულებას ჰქვია ოხვამე, რაც ნიშნავს 1) სალოცავ სახლს, ადგილს (ეკლესიის მნიშვნელობით) და 2) სასაფლაოს. სვანურშიც ლაბქამ სალოცავია ზოგადად (თუმცა „სვანურ ლექსიკონში“ დამოწმებულია საყდარიც). ორივე შემთხვევაში ამოსავალია საერთო ქართველური ხუამ=ლოცვა ძირი...

ჩანს, საკულტო ნაგებობათა აღსანიშნავად მეგრულ-სვანური კვლავაც იყენებს საკუთარი ენობრივი მასალიდან ქრისტიანობამდე შექმნილ სიტყვებს და დამატებით აღარ საჭიროებს უცხოური წარმოშობის ტერმინებს. როგორც ვხედავთ, თანამედროვე ქართულში რელიგიური სალოცავთა სახელებად გამოიყენება ქართული თუ უცხოურიდან შემოსული რამდენიმე სიტყვა. მართალია, მათთვის საერთო ძირითადი ფუნქცია ღვთისმსახურება, მაგრამ ქართულმა ენამ მაინც მოახდინა მათი დიფერენცირება თვისობრივად მეტ-ნაკლები...

სხვაობის გამოხატავად და სახელებაც უფრო ზუსტი და კონკრეტული გახდა. მაგალითად, ჩვეულებრივი გამოთქმები: წმ. გიორგის ეკლესია, ბაგრატიის ტაძარი, გელათის მონასტერი და ა.შ. ცნება „მონასტერი“ უფრო მთავალმხრივ და მასშტაბურ საქმიანობას გულისხმობს, ვიდრე ეკლესია... ქართული ტერმინი საყუდარი დღეისათვის ეკლესიის სინონიმია, მაგრამ უფრო მცირე მოცულობისა. ქართველისათვის იგი ზოგადად სალოცავის აღნიშვნელი უფროა, ვიდრე კონკრეტული შენობისა...

მოხმარების თვალსაზრისით საანალიზო ტერმინთაგან თანამედროვე ზემოთხსენებულთა ველზე პროდუქტიულია ეკლესია. ჩანს, იგი უფლებსი დროიდან მოყოლებული, ქართველის ცნობიერებაში იმდენად მკვიდრი და გათავისებული სიტყვაა, რომ ყოველგვარი სახის სალოცავს ეკლესიას უწოდებენ. მეტიც: ქართული ენის დასავლურ დიალექტებში ზნობად „სასაფლაოს“ აღსანიშნავად „ეკლესიას“ იყენებენ (ტრადიციულად ჩვენში ეკლესიის ახლოს მიცვალებულთა საფლავებია. უთუოდ ამან გამოიწვია ამ ორი სხვადასხვა ცნების გათავიშობა)...

საინტერესოა, როდის უნდა მომხდარიყო საყდარ სიტყვის ახლებური სემანტიზაცია, რას უნდა შეეწყო ხელი ამ მოვლენისათვის...

„ქართლის ცხოვრების“ I ტომის თხზულებათა (ავტორად მიჩნეულია X საუკუნის ისტორიკოსი გუანაშვილი), „სიმფონია ლექსიკონში“ სპეციალისტები სათანადო კონტექსტების მიხედვით მიუთითებენ საყდარ სიტყვის განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსებზეც: იგი ტაბტისა და საყარტლის მნიშვნელობის გარდა ზოგჯერ უნდა გულისხმობდეს საკუთრივ ვისცხოვროს, პატრიარქის „კათედრას“ („ქართლი, ამოსაყდრეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან“), ზოგჯერ კიდევ — სალოცავ ადგილს ეკლესიის მნიშვნელობით („მუდანი მისნი და მღვდენ საყდრისა ქუთათისსა“)...

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საანალიზო ერთეულის სემანტიკური ცვლა შესაძლებელია დაწყებულიყო ჯერ კიდევ X-XI საუკუნეებიდან...

რამდენადაც საყდარი იყო როგორც მეფეთა, ისე უმაღლეს სასულიერო პირთა ტაბტი ანდა „კათედრა“ (საიდანაც მღვდელთმთავარი ასრულებდნენ ღვთისმსახურებას), დროთა ვითარებაში ძნელი აღარ იქნებოდა საყდრის (ე.ი. ამ კათედრა-ტაბტის) გააზრება ლოცვაკურთხევის საგანგებო კონკრეტულ ადგილად ანუ სალოცავად - მცირე ზომის ეკლესიად...

საყდარ სიტყვის ამგვარი სემანტიკური ცვლა, პირველ ყოვლისა, საწვიანობრო ენისათვის და მახასიათებლად უნდა ვცნოთ, ეს მოვლენა მუსაუყუნებში ხელშეწყობდა რომ არსებულიყო ზემო მტკიცელებაში, შეუძლებელია იგი სულხან-საბას მეცნიერული თვალსაზრისის მიღმა დარჩენილიყო ალბათ, ცოტა მოგვიანებით, XVIII საუკუნიდან სამწერლო ქართულსა და დიალექტებში უკვე დაიჩრდილა ამ სიტყვის თავდაპირველი სემანტიკა და მჭარად მკვიდრდება მხოლოდ სალოცავი შენობის აღნიშვნელ ტერმინად (რახედაც აშკარად მეტყველებს დ. ჩუბინაშვილის საგულისხმო შენიშვნებს)...

ლირსაცნობია, რომ ასეთი სემანტიკური ცვლისათვის არსებითი და განმსაზღვრელი უნდა იყოს საყდარ სიტყვის ამოსავალი ძირის პირველადი მნიშვნელობა...

მეცნიერთა აზრით, საყდარ-ში ამოსავალია საერთო ქართველური ძირი ყუდ (< *ყუდლ). ეს უკანასკნელი დღესაცაა შემონახული ქართულ-მეგრულ-სვანურში...

ქართ. ყუდ, საყუდ-ული, საყუდ-არი, დაყუდ-ება, ყუდ-რო, ყუდ-რო-ე, ყუდ-რო-ე-მა-ე „სამყოფელი“, „დაწყარება“, „შვილობა“, „სიწყარე“, „სიმშვიდე“...

მეგრ. ყუდ, ყუდე „სახლი“ (იგივე სამყოფელი - ყ. ვს)...

სვან. ყუდ, ყუდე „მეფრო“, „წყარა“ (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე)...

მაშასადამე, ყუდ ძირისაგან დანიშნულების აფიქსითაა ნაწარმოები საყდარი > საყდარი აშკარაა რომ ყუდგან და ყუდლოვის ყუდლოდ ძირისათვის განიხილება როგორც ადგილი სიმშვიდე-სიწყარისა...

ქემარბიტად, თანამედროვე გაგებითაც საყდარი ზომ სულიერი სიმშვიდის მომნიჭებელი ადგილია; სულიერების, მშვიდობიანობის, სიწყარე-სიმყოფლობის სიმბოლოა...

პროფ. შურუბა ფაიციანიძე

სიბავსოს კონცა

„მინდი“

ეს ზოგჯერ აღრე მთიან ლეჩხუმში ხშირად მშენებელ ახლა იშვიათად მოკვრავდნენ და აღსათ ხანდაზმულთა თაობასთან გადასცემდა არადა რა საჭირო და აუცილებელია იგი - რუსული „პანაც“-ის შუბტი შეატყვისა.

„მინდი“ მკვეს, „მინდი“ შევინახავ, „მინდი“ გამოვადგე... ვის არ სჭირდება რაიმე მინდი და სათანადო სიტყვაც იქვე ტრიალებდა. საკულისხმოა ისიც, რომ მოხუცებს „პანაც“-ის ისევე არაფერი გაეგებოდათ, როგორც დღევანდელ ახალგაზრდობას „მინდისა“, მაგრამ მთლად „განწირული“ მინცი არ ყოფილა - „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონსა“ აღმოვიჩინეთ (შემდეგ, აღ. ლლონტი. „განათლება“. 1974 წ. გვ. 340) - მინდი - ლეჩხ - მარაგი. „დღეობისთვის მინდი აღიხავენ ზანდურის პურს (მალაჯ. - ოკრიბ).“

შესაბამის ცნებას თითქოსდა „თადარიგი“ გამოხატავს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ-ვიწრო პროფესიულ არეალში, ამიტომაც ცოცხალ მემკვიდრეობაში იგი „პანაც“-ს ვერ ეტოვება. ამიტომ „მინდის“ ზედახლა აღორძინება, ზოგადქართულ მემკვიდრეობაში ჩართვა საქმეს მხოლოდ თუ წაადგება.

„ნაგერა“

„ნაგერას“ დღესაც ხშირად გაიგონებთ, ყოველდღიურ საუბარში (მეტწილად, მოხუცთა მემკვიდრეობაში). მნიშვნელობით თითქოსდა უახლოვდება ზოგ სიტყვას, მაგრამ სრულად მას ვერცერთი მათგანი ვერცდის. ნიშნავს „უბრალოს“, „უფრო ნაკლებს“ და „ცოტას“ ერთად, როცა, ვთქვათ, ბევრი რამ გავცივით, ჩვენ კი მცირეოდენი-

ონისი ბანძილბაძე

და ლაგერა, ისიც გაცილებით ნაკლები ხარისხისა.

„რალაც ნაგერა სიმინდი ჩაყარე ბელელში და სანამდი გავცივანს?“

„კაი რაც იყო, კი გავციდე, თანაც რა ნაგერა ფასში“.

„ნაგერა შეილება დარჩა საწყალს და ისინი მინცი ველოდებოდეს კარვად“.

არ ვიცი, ამ ორიოდ მაგალითით რამდენად იგრძენით „ნაგერას“ დანიშნულება და „სურნელი“, მაგრამ ჩვეულებრივ მემკვიდრეობაში რომ იგი მოხდენილად, სწორედ „თავის ადგილზე“ ზის, უდავო ფაქტია.

„ბზიკისფერი“

ეს მზისქვეშეთი „უთვალავი ფერთაა მოცემული და, საბედნიეროდ, ჩვენი ენა შესაბამისი ტერმინებითაა მდიდარია. „ფერთა გალერეას“ კიდევ უფრო ამრავალფეროვნებენ კაზმული სიტყვის ოსტატები. თუნდაც დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ რამდენი ახალი ფერი „დაგვანახა“ (ძერასფერი, ქერეჭისფერი, ბატისჭუკისფერი, ხობხისყელისფერი...), რომლებიც ისე ესადაგებთან განსაზღვრულ საგანს, უმათობა ვეღარც წარმოგიდგენია.

დიდი სურვილი გვაქვს, ფერთა ამ გამას ამშვენებდეს „ბზიკისფერიც“. მას თუმც ერთადერთი საზღვრული აქვს - მხოლოდ სიმწიფისაგან შეყვითლებულ მტევანზე, ითქმის, მაგრამ დაგვეთანხმებით, ეს ობიექტი საკვებით იმსახურებს „საკუთარი განსაზღვრებით“ სარგებლობდეს, თანაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ბზიკისფერი“ ნამდვილად სჯობნის „ყვითელსა“ თუ „ქარვისფერს“ - ვისაც მწიფე მტევანი და ეს მწერი ერთად უნახავს, დაგვეთანხმება, რომ მტევანი ამ დროს მაინცდამაინც ბზიკისფერია.

კონკურსი ბრძელდება



2002 წლის 18 აპრილს ჩატარდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსის - „საქართველოს სახელმწიფო ენა“ - II ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღო I ტურში გამარჯვებულმა ხუთმა მოსწავლემ.

პირობის თანახმად II ტური ჩატარდა წერითი ფორმით. საკითხები შერჩეული იქნა ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიის კათედრების წევრთა მიერ. ტურის დაწყების წინ მოსწავლეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი და მანვე კონკურსსატებს გააცნო II წერითი ტურის საკითხები.

საგამოცდო კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: პროფ. ტარიელ ფუტყარაძე, დოც. მარინე ქაცარავა, დოც. რუსუდან სადინაძე, დოც. ნესტან კუტივაძე და დოც. ვია ხოფერია, III დასკვნითი ტურისათვის შეარჩიეს 4 მოსწავლე

- გიორგაძე ნათია (32-ე საშ. სკოლა)
- ღონაძე ქეთევანი (32-ე საშ. სკოლა)
- უგულავა სალომე (32-ე საშ. სკოლა)
- სირბილაძე თამარი (პუშკინტარული ლიცეუმი)

III ზეპირი ტური ჩატარდება 20 მაისს უნივერსიტეტის I კორპუსში (მწვანე დარბაზი) 12⁰⁰ სთ-ზე.

ერისკვირი

1	2	3	4	2	3	2	4	5	1	6	2	7	8	
9				10		11	9		8				7	
10			4	8	11	12	8	10	2	11	2		13	
14		6		9		8		15		2		16	12	
17	10	2	8		18	17	10	2	8		12	5	12	8
12		10		7		10		13		6		10		4
8	11	8	11	8	6	2		2	10	2	11	9	13	8
				1		5				9		10		
7	8	13	8	11	12	8		4	8	11	19	2	13	2
9		5		2		10		8		2		6		4
4	17	4	17		20	8	17	11	8		5	16	11	8
21		8		13		1		1		8		2		4
8				20	8	10	2	7	8	9	14	8		8
6					1		6		11		10			16
2	8	18	17	8	10	2		2	7	8	10	9	6	2

მ	ა	ნ	დ	ა	რ	ო	ნ	ო
4	8	11	12	8	10	2	11	2

წინა ნომერში გამოქვეყნებული კონსურსის პასუხები: 1. შოლი; 2. დელი; 3. ლომი; 4. მული; 5. იელი; 6. დოლი; 7. ქარი; 8. რიგი; 9. გილი; 10. დილი; 11. ლისი; 12. სიმი; 13. ზინი; 14. ჩირი; 15. რიხი; 16. ჩაფი; 17. ფირი; 18. რიყი; 19. თითო; 20. თიხა; 21. ხილი; 22. ლიმა; 23. მითი; 24. თეკა; 25. ბინა; 26. ნალი; 27. ლილა; 28. ლარი; 29. რიწა; 30. წათი

(დასაწყისი მე-9 გვერდზე)

სტილის არსში ჩაწვდომისათვის საჭიროა გარკვეული იქნას, უპირველეს ყოვლისა, მისი მხატვრული აზრი, მასში გამოხატული მხატვრული კანონზომიერება. ეს შეეხება როგორც ხელოვნების სხვადასხვა დარგებისათვის და მასათათებელ სტილისტურ სპეციფიკას, ასევე სტილის განზოგადებულ, საერთო ცნებას. სტილის საკითხების შესწავლისას ხშირად შედგენდება აზრთა სხვადასხვაობა, როგორც მისი არსის, ისე ცალკეული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. დავის საგანად მრავალგზის გამხდარა სტილისა და მეთოდის თანაფარდობის საკითხი. აზრთა სხვადასხვაობა მქდავნილება სტილისა და მანერის საკითხების განხილვის დროსაც. მანერა და სტილი თავისი ესთეტიკური დანიშნულებით და ბუნებით გვიან ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის განსხვავებაა. თითოეულ დიდ მწერალს, ხელოვანს გააჩნია საკუთარი „ხელწერა“, რითაც განსხვავდება მეორისაგან. შემოქმედნი განსხვავდებიან ხასიათთა გამოთქმვით, მხატვრული ხერხების გამოყენებით, მოცემული ნაწარმოების აგების პრინციპების დამუშავებით.

სტილის პრობლემათა რიგში განსაკუთრებული ადგილი უკავია შეხედულებას, რომელიც სტილის აღიარებს მხატვრის შემოქმედების ინდივიდუალურ თავისებურებად. სტილის ასეთი გაგება საკმაოდ პოპულარულია და ცალკე გამოყოფას მოითხოვს.

სტილის გაგებას, როგორც მხატვრული შემოქმედების ინდივიდუალურ თავისებურებას, მასათათებს უჩიოთისაშინააბმდევო უკიდურესობაში იქონი აღიარებენ სტილის, როგორც

ინდივიდუალურ თავისებურებას, მეორენი გამოიციხავენ ასეთ შესაძლებლობას.

სტილის, როგორც მხოლოდ შემოქმედებითი ინდივიდუალობის გაგება გადმოცემულია ვ. პეტელინის წიგნში „მეთოდი, მიმართულება, სტილი“. მკვლევრის აზრით მწერლის სტილი არის მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობა. მას მოჰყავს ზოგიერთი ავტორის ასეთივე შინაარსის გამონათქვამი, რათა ამით გააძლიეროს თავისი პოზიცია. „სტილი შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალური, განუმეორებელი - დასკვნის იგი. (В. Петелин, метод, направление, стиль, изд. Искусство, м, 1963, стр.80).

სტილის გაგებას, როგორც მხოლოდ ხელოვანის ინდივიდუალურ თავისებურებას, არ ეთანხმება მკვლევართა გარკვეული ნაწილი. კითხვაზე - წარმოადგენს თუ არა სტილი რალაც მკაცრად ინდივიდუალურს - ა. ჩიჩერინი პასუხობს - არა. მისი აზრით, არსებობდა გერმანელი, ფრანგი რომანტიკოსების სტილი. ნოვალისი, ეიპენდორფი, ჰოფმანი ქმნიდნენ იმავე სტილის ორიგინალურ თავისებურებას, ზოგი აღიარებს, ზოგი უარყოფს. მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, სტილი არ შეიძლება ჩაითვალოს ხელოვანის მხოლოდ ინდივიდუალურ თვისებათა გამოვლინებად, რადგანაც არ არსებობს ისეთი ინდივიდუალობა, რომელიც ზოგადს არ იყოს დაჭრდობილი. მაშ, სტილიც არ შეიძლება თავისუფალი იყოს ზოგად კანონთა შემოქმედებისაგან.

სტილის პრობლემა დიდ დავასა და ინტერესს იწვევს მეცნიერებაში. სტილის რაობის გაგება, მის არსში ჩაწვდომა მოითხოვს შესაფერის დეტალიზაციას და თანმიმდევრულ გადაწყვეტას.

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ტარიელ ფუტყარაძე
 პასუხისმგებელი რედაქტორი გიბ ხოშნიანი
 რედაქტორი ნათია ფუტყარაძე
 ვაჭარის დარგების განყოფილება პანკრაშ დამბაშვილი
 ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის განყოფილება №12/5/9-4518
 ტელეფონი 822 79 79 48 (თბილისი); 877 49 59 06; 8231 4 28 83; 9 02 93 (ქუთაისი); 888 222 5 50 80 (ბათუმი)
 მისამართი ქ. ქუთაისი, თბილისი რეგიონის ქ. 3059.
 ქვე-დირექტორის
 მისამართი ქუთაისის ინსტიტუტი.
 ვებ-გვერდი <http://www.opentext.org.ge/kartuli>